



აღმოსავალეთის პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



## მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

### ოქმი

თარიღი: 26 იანვარი, 2015 წელი

დრო: 15:00 – 17:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ალექსანდრა კალატოზიშვილი -ფონდი "სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი", მეოთხე ჯგუფის კოორდინატორი
2. ლევან ბოჭორიშვილი - საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო", მეოთხე ჯგუფის კოორდინატორი
3. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული აღტერნატივა
4. მეწარმე ქალთა ფონდი - მერი გელაშვილი
5. გიორგი კიკალიშვილი - ახალგაზრდული ასოციაცია "დრონი"
6. ივანე ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"
7. ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია "ახლებური ხედვა" - თამარ ოვასაპიანი
8. ნინო ტლაშვაძე - ადამიანის უფლებათა ცენტრი
9. გიორგი შიომშვილი - კავკასიური სახლი - საქართველო
10. ნანული რამიშვილი - პედაგოგთა კავშირი "განათლება და სამყარო"
11. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია ტოლერანტი
12. გიორგი გაბუნია - ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“
13. ვლადიმერ კვიტატიანი - ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“
14. გუნა ბიბილეიშვილი - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
15. გიორგი თაბაგარი - ევროპის აღუმნების გაერთიანება

## განსახილველი საკითხები:

- ❖ წესდების განხილვა
- ❖ საერთო კრების საორგანიზაციო საკითხები
- ❖ სავარაუდო კანდიდატების დასახელება
- ❖ სხვა

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკოორდინაციო საბჭო თავმჯდომარის ხელმძღვანელობით აქტიურად მუშაობდა რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის პლატფორმის წესდების საკითხზე. კოორდინატორმა სიტყვა გადასცა პლატფორმის თავმჯდომარეს, რომელმაც ჯგუფს წარუდგინა წესდების ცვლილებების დოკუმენტი. მან იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნილი ცვლილებები მომავალში უფრო მოქნილს და ეფექტურს გახდის პლატფორმის მუშაობას.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ წესდების ცვლილებების განხილვისას ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე: პლატფორმის განვითარების მიმართულებები, შიდა განვითარება, რეგიონალური განვითარება, მონაწილეობა ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფორმატებში (სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა, შემდგომში „ქართულ - ევროპული პლატფორმა“ და სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმი), სამუშაო ჯგუფების და ქვეჯგუფების მუშაობა და ა.შ. წესდების ცვლილებების თანახმად სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა წარმოდგენილი იქნება 15 კაციანი შემადგენლობით, 12 წევრს ირჩევს კრება ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციებიდან, 3 წევრს კი – კომისია პლატფორმის არაწევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან. ორ გარანტირებულ წევრს წარმოადგენს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება და მეწარმეთა/დამსაქმებელთა ასოციაცია.

თავმჯდომარემ ისაუბრა პლატფორმის რეგიონალური წარმომადგენლობების არსებობის მნიშვნელობაზე. აღნიშნულ წარმომადგენლობებს ექნებათ თავიანთი დღის წესრიგი. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს მათი ჩართულობის უზრუნველყოფა, როგორც ადგილობრივ ისე რეგიონალურ დონეზე.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია ტოლერანტის წარმომადგენელმა გამოთქვა ინიციატივა, რომ პლატფორმის აქტივობები ჩატარდეს რეგიონებში, ასევე მოხდეს გასვლითი შეხვედრების ორგანიზების უზრუნველყოფა. აღნიშნულ პროცესში მან გამოთქვა მხარდაჭერის მზაობა და მიმართა ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლებს, რომ აღნიშნული შეხვედრებისთვის შეუძლიათ გამოიყენონ ასოციაცია ტოლერანტის სამუშაო ფართი.

კოორდინატორმა დამსწრებებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 11 თებერვალს გაიმართება საქართველოს ეროვნული პლატფორმის ყოველწლიური საერთო კრება, სადაც კენჭისყრის საფუძველზე მოხდება სამუშაო ჯგუფების თანაკოორდინატორთა არჩევა მომდევნო სამუშაო წლისათვის. მან თხოვნით მიმართა ჯგუფის წევრებს, დაესახელებინათ კანდიდატები ან ელექტრონული ფორმით გაეგზავნათ სამდივნოსთვის ჯგუფის თანაკოორდინატორთა პოზიციაზე მათთვის სასურველი კანდიდატურები. მან ასევე აცნობა ჯგუფის წევრებს, რომ შესაძლებელია თვითდასახელებაც, რადგან წესდებით ამ კუთხით არ არსებობს რაიმე სახის შეზღუდვა.

მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ ჯგუფის წევრები თავიანთ კანდიდატურებს დაასახელებენ ელექტრონულად.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია